

## განმარტებითი ბარათი

„სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს აძლევს შესაძლებლობას, საზღვარგარეთ მყოფ პირებს მომსახურება გაუწიოს ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენებით. აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად მომზადებულია ცვლილებები შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, რამაც განაპირობა „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, შესაბამისი დამატებების შეტანის აუცილებლობა, რათა განისაზღვროს ზემოაღნიშნული მომსახურების საფასურის განაკვეთები.

კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულია საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე მისი წარმომადგენლის მეშვეობით ბიომეტრული პასპორტის მიღების მომსახურების საფასური. იმის გათვალისწინებით, რომ ბიომეტრული პასპორტი უნდა შეიცავდეს მფლობელის ბიომეტრიულ მონაცემებს, ხოლო მარწმუნებლის ბიომეტრული მონაცემების მიღება ამ შემთხვევაში შეუძლებელია, წარმომადგენლის მეშვეობით ბიომეტრული პასპორტი არ გაიცემა.

ადგილსამყოფელი ქვეყნების სახელმწიფო დაწესებულებები საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს სთხოვენ ცალკეული პირების მიმართ საქართველოში რეგისტრირებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობების წარდგენას. აღნიშნულ შემთხვევებში მოწმობის წარდენისათვის მომსახურების საფასურის გადახდის საჭიროება არ არსებობს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის და მისამართზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ ცნობის გაცემაზე მომსახურების საფასურის განაკვეთების განსაზღვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, დგინდება მისამართზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ ცნობის გაცემის მომსახურების საფასური, გარდა ამისა ახალი რედაქციით ეალიბდება საინფორმაციო ბარათის გაცემის მომსახურების საფასურიც.

პროექტი ასევე ითვალისწინებს საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქისათვის ბიომეტრიული პასპორტის წარმომადგენლის მეშვეობით გაცემისათვის დაწესებული საფასურის გაუქმლებას.

წარმოდგენილი პროექტით, განისაზღვრება საზღვარგარეთ მყოფი პირების ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მომსახურების საფასურის განაკვეთები.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მოთხოვნით სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობის გაცემისათვის მომსახურების საფასურის გადახდა არ განხორციელდება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღების შედეგად ელექტრონული კავშირის საშუალებებით ან ამ პროექტით გათვალისწინებული სხვა მომსახურების მიღების მსურველი პირები, გადაიხდიან შერჩეული მომსახურების შესაბამის საფასურს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში იქმნება ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთან პირდაპირი ვიზუალური კავშირის დამყარების შედეგად საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების განცხადების მიღებას და შესაბამისი სამსახურისათვის გადაცემას. ამასთან, აღნიშნული სერვისის განხორციელება მოითხოვს დამატებით ტექნიკურ აღჭურვილობას, რის გამოც ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გაწეული ზოგიერთი მომსახურების საფასური აღემატება ჩვეულებრივი წესით მომსახურებისათვის დაწესებულ საფასურს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები  
სეუზარ წიკლაური და ლაშა თორდია.